შემოსვლის თარიღი: 25/02/2019 წ

გასვლის თარიღი: 14/08/2019 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. #2-ში მდებარე შენობები ბარაკული ტიპისაა. შენობების მარცხენა მხარეს 3-5 მეტრის დაშორებით გადის სარკინიგზო გზა, ხოლო მარჯვენა მხარეს თბომავალი მოძრაობს უშუალოდ შენობებს შორის. დაშორება შენობებიდან შეადგენს 1.2-1.5 მეტრს. თბომავლის მოძრაობის დროს შენობებში აღინიშნება ძლიერი ვიბრაციული დათვირთვები. СНиП 2.07.01-89*-ის („ქალაქთმშენებლობა") მიხედვით შენობები სარკინიგზო გზიდან აუცილებელია დაცილებული იყოს სანიტარულ-დამცავი ზონით, სიგანით 100 მეტრი. თუ სარკინიგზო გზა გაყვანილია სპეციალურ ჭრილში ან გატარებულია ხმაურდამცავი ღონისძიებები, რომლებიც აკმაყოფილებენ СниП II-12-77 მოთხოვნებს, მაშინ შესაძლებელია სანიტარულ-დამცავი ზონის შემცირება 50 მეტრამდე.

ამდენად, უხეშად არის დარღვეული СНиП 2.07.01-89*-ის („ქალაქთმშენებლობა") მოთხოვნები, დაუცველია მობინადრეების უსაფრთხოება, ყოველდღიურად შესაძლოა მოხდეს უბედური შემთხვევა და დადგეს გამოუსწორებელი შედეგი.

მობინადრეების განცხადებით, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. #2-ში მდებარე შენობების (ბარაკების) ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელი დაერთებულია სანიაღვრე ქსელზე, რის გამოც სანიაღვრე ქსელის ცხაურებიდან ამოდის აუტანელი სუნი, ასევე ძლიერი ატმოსფერული ნალექების დროს სანიაღვრე ქსელის ცხაურებიდან ამოსული დაბინძურებული წყლით იტბორება მთელი ტერიტორია. გაზეთნულია წყალ-კანალიზაციის ქსელის განშტოება, რის გამოც ჭიდან ამოდის დაბინძურებული წყალი და